საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

N 2675/03 **20 მარტი 2025 წ.**

ხარვეზის დადგენა

შპს „კრიალას“ დირექტორს
ქალბატონ ინგა თუთბერიძეს
მისამართი: სამგორის რაიონი, ქიზიყის ქ. № 12,
(ნაკვეთი N2/21),
თბილისი, საქართველო

ქალბატონო ინგა,

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ (შემდგომ - საქპატენტი) განიხილა 2025 წლის 6 მარტის თქვენი NR 4311-3/2025 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სასაქონლო ნიშნის „ასფურცელა მეტია“ (რეგ. N31512) რეგისტრირებული საქონლის ჩამონათვლის დაზუსტებას საქპატენტის სასაქონლო ნიშნების რეესტრში, გაცნობებთ, რომ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე‘‘.

ამასთან, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

„იმ სასაქონლო ნიშნის მფლობელს ან განმცხადებელს, რომელმაც განაცხადი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ ამ კანონის ამოქმედებამდე შეიტანა და აღნიშნულ განაცხადში საქონლის ჩამონათვალი საერთაშორისო კლასიფიკატორის კლასის სათაურის სახით მიუთითა, უფლება აქვს, დააზუსტოს საქონლის ჩამონათვალი და მიუთითოს ის საქონელი, რომელიც საერთაშორისო კლასიფიკატორის კლასის სათაურში გამოყენებული საქონლის დასახელების პირდაპირ მნიშვნელობას არ შეესაბამება, თუ განაცხადის შეტანის მომენტისთვის ეს საქონელი საერთაშორისო კლასიფიკატორის მოქმედი რედაქციის ანბანურ ჩამონათვალში იყო მოცემული.“.

დამატებით გაცნობებთ, რომ 2025 წლის 6 მარტის თქვენი NR 4311-3/2025 განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტში მითითებული საქონლის ჩამონათვალი არ შეესაბამება სასაქონლო ნიშნის „ასფურცელა მეტია“ (რეგ. N31512) სარეგისტრაციო განაცხადის, საქპატენტში წარდგენის მომენტისთვის მოქმედ ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამის რედაქციას.

ამასთან, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 პრიმა მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „თუ განაცხადში მითითებული საქონლის ჩამონათვალი ბუნდოვანია

ან/და ზოგადია, განმცხადებელი ვალდებულია საქპატენტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში დააზუსტოს საქონლის ჩამონათვალი ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად. საწინააღმდეგო შემთხვევაში საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული საქონლის მიმართ განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.“

2025 წლის 6 მარტის თქვენ NR 4311-3/2025 განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტში მე-16 კლასის საქონლის ჩამონათვალში მითითებული გაქვთ: „ქაღალდი“, „მუყაო“, „ნაბეჭდი მასალა“, რომელიც წარმოადგენს ბუნდოვან ჩანაწერს და შეუძლებელს ხდის სასაქონლო ნიშნისთვის მოთხოვნილი დაცვის ფარგლების ზუსტად და ცხადად განსაზღვრას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ ერთი თვის ვადაში დააზუსტოთ საქონლის ბუნდოვანი ჩამონათვალი და წარმოადგინოთ, სასაქონლო ნიშნის „ასფურცელა მეტია“ (რეგ. N31512) სარეგისტრაციო განაცხადის საქპატენტში შეტანის მომენტისთვის, საერთაშორისო კლასიფიკაციის მოქმედი რედაქციის ანბანურ ჩამონათვალთან შესაბამისობაში მყოფი საქონლის ჩამონათვალი. წინააღმდეგ შემთხვევაში 2025 წლის 6 მარტის თქვენი NR 4311-3/2025 განცხადება დარჩება განუხილველი.

პატივისცემით,

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული
აღნიშვნებისა და დიზაინის
დეპარტამენტის უფროსი



დარეჯანი მჭედლიძე